



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარმონ დიუოშანი

მარმონ დიუოშანი (Marmont du Hautchamp) ბარტელემ (დაახლ. 1682, ორლეანი, – დაახლ. 1760), ფრანგი მწერალი. საყურადღებოა აღმოსავლურ თემატიკაზე დაწერილი მისი რომანი „რეტიმა, ანუ მშვენიერი ქართველი ქალი“ (ტ. 1-2, 1735-36), რ-ის ქვესათაურია „ნამდვილი ამბავი“. იგი მოგვითხრობს ქართველ ქალის თავგადასავალს. საქართველოში შესახებ ცნობები რომანში მეტად ძუნწადაა წარმოდგენილი, ისტ. ფაქტები ხშირად გაყალბებულია, ამბები – შეთხზული. ამასთანავე, ჩანს, ავტორს შარდენის თხზულებაც გამოუყენებია. სათავგადასავლო რომანის ტრადიციებს იცავს მწერალი რომანში „რუსპია, ანუ მშვენიერი ჩერქეზი ქალი“ (1754), რ-შიც აღწერილია მრავალი ქვეყანა და სხვადასხვა ეროვნების ადამიანი; აქაც ძირითადია საქართველო. ისტ. ამბები და მეზობელ სახელმწიფოებთან – სპარსეთსა და რუსეთთან – მისი ურთიერთობის ფაქტები. საინტერესოაა გაშუქებული ვახტანგ VI-ის პოლიტ. მოღვაწეობის მომენტები. რომანი გარკვეულ წარმოდგენას უქმნის უცხოელ მკითხველს საქართველო შესახებ. ეს რომანები მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XVIII ს. ფრანგ. ლიტ-რაში.

ლიტ.: გ ი თ რ გ ა ძ ე ბ., სამი ქართველი ქალის ამბავი, „საუნჯე“, 1976, №3;
О р л о в с к а я Н. К., Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков, Тб., 1965.

დ. ფანჩულიძე
